ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

2519802
12/14216422-25
23.09.2014

მამია ჯაში (01024005877),
თბილისი ვაჟა-ფშაველას ჩიხი N 5 ბ. 4

თქვენი 18.09.2014 წლის (#12/14216422-25) განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. #34, 36ა-39ა-ში (სკ #01.14.03.040.344, 01.14.13.040.343) მშენებლობის განხორციელების მიზნით ხე-მცენარეების მოჭრა/გადარგვის ნებართვას გაცნობებთ, რომ სამსახური თანახმაა მოიჭრას: 1 (ერთი) ძირი ვაშლი, 1 (ერთი) ძირი აკაცია დიამეტრით 49,7სმ და 1 (ერთი) ძირი თუთა დიამეტრით 74,5სმ, გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური თანახმაა, მოიჭრას აღნიშნული ხე-მცენარეები 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მესაკუთრე ვალდებულია ჭრის დაწყება აცნობოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს. (ტელ: 5-77-27-05-18).

ასევე, სამსახური თანახმაა 2 (ორი) ძირი ვერცხლისფერი ნაძვი დიამეტრით: 25,4სმ და 33სმ გადაირგოს თქვენსავე ტერიტორიაზე სპეცტექნიკით (რეკულტივატორით), აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით ისე, რომ არ დაირღვეს მათი სასიცოცხლო ფუნქციები.

პატივისცემით,
თბილისის მუნიციპალიტეტის მერია / ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსი

ბიძინა გიორგობიანი

gwp

მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 8850/04

D 24 09.14

მოქალაქე მ.კაპანაძეს (მესაკუთრე შპს „სბ“),
ა.ყაზბეგის გამზირი N36ა-39ა,ა.ყაზბეგის გამზირი N34,
01-14-03-040/343, 01-14-03-040/344

შპს-მ “ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი” განიხილა თქვენი განცხადება, დათარიღებული 10.09.14 წ. დარეგისტრირებული №20545/04, 10.09.14 წ., სადაც ითხოვთ ინფორმაციას ზემოაღნიშნულ მისამართებზე კომუნიკაციების არსებობის შესახებ.

კომპანიის წყალარინების დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე გაცნობებთ, რომ როგორც ადგილზე შემოწმებით დადგინდა, მიწის ნაკვეთზე საკ. კოდით №01.14.03.040/343; საკანალიზაციო კოლექტორი არ გაედინება, ხოლო მიწის ნაკვეთზე საკ. კოდით №01.14.03.040/344; გაედინება მოქმედი D=400 და D=500 მმ-იანი ე.წ. ქავთარაძის ძველი კოლექტორი.

თანახმად სამშენებლო ნორმებისა და წესებისა სანიტარულ ზოლში აუცილებლობას წარმოადგენს ყოველგვარი შენობა-ნაგებობების დაშორება წყალარინების თვითდენითი ქსელებიდან არანაკლებ 3,0 მეტრით ორივე მხრიდან. ამასთანავე გაცნობებთ, რომ ქსელებზე შესაძლო დაზიანების შემთხვევაში დღე-ღამის ნებისმიერ დროს კომპანიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს უნდა მიეცეს საშუალება ტერიტორიაზე შესვლისა და სპეცტექნიკის გამოყენებით საჭირო სამუშაოების ჩატარებისათვის.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ თუ ვერ დაიცავთ ზემოაღნიშნულ ნორმებს, საჭირო იქნება მათი გადატანა სამშენებლო ნორმების დაცვით.

პატივისცემით,

კონსტანტინე ღამბაშიძე

ახალი მიერთებების ჯგუფის უფროსი სპეციალისტი/წამყვანი

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი GEORGIAN WATER AND POWER LTD
მის: 0179 თბილისი, მ. კოსტავას 1 შესახვევი №33
ელ-ფოსტა: info@georgianwater.com
ტელ: +995 (32) 293 11 11; ფაქსი: +995 (32) 298 26 07
www.georgianwater.com